ყურადღება: თამაშის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე/რეგისტრაციის დასრულებამდე, გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე წესებსა და პირობებს და თუ არ ეთანხმებით მათ, ნუ ისარგებლებთ ვებგვერდით/"აპლიკაციით". კითხვების არსებობის შემთხვევაში, გირჩევთ კონსულტაცია გაიაროთ იურისტთან ან სხვა კვალიფიციურ კონსულტანტთან.

სარჩევი

1. **წესებისა და პირობების მოქმედება** 3
2. **მითითება „აჭარაბეთზე" და „მოთამაშეზე"** 3
3. **ინტელექტუალური საკუთრების უფლებები** 3
4. **„ვებგვერდზე"/"აპლიკაციაზე" წვდომის დასაშვებობა იურისდიქციების მიხედვით, ასაკობრივი შეზღუდვა, დამოკიდებულ/აკრძალულ პირთა სიაში რეგისტრირებული პირი** 3
5. **თამაში ფულზე** 4
6. **რეგისტრაცია** 4
7. **ერთი ანგარიში** 4
8. **მომხმარებლის სახელი და პაროლი** 5
9. **სხვის პირად ანგარიშზე შეცდომით გადარიცხვა** 5
10. **სესხით თამაშის აკრძალვა** 5
11. **ბალანსიდან თანხის გატანა და თანხების ხელმისაწვდომობა** 5
12. **აკრძალული ქმედებები** 5
13. **ბალანსის არამიზნობრივი ან არაკეთილსინდისიერი გამოყენება** 6
14. **თაღლითობის საწინააღმდეგო სისტემა** 6
15. **„მოთამაშის" ანგარიშის უსაფრთხოება** 6
16. **შემოწმება** 6
17. **მარკეტინგულ აქტივობებში მონაწილეობა** 7
18. **ბონუსი** 7
19. **უმოქმედო ანგარიშები** 7
20. **ანგარიშის დახურვა (გაუქმება) „მოთამაშის" მიერ** 7
21. **„მოთამაშის" ინფორმირება ანგარიშის დაბლოკვის/შეჩერების შესახებ** 8
22. **„მოთამაშის" განცხადებები და გარანტიები** 8
23. **კომპენსაცია „მოთამაშის" მხრიდან** 8
24. **გარანტიების გამორიცხვა** 8
25. **პასუხისმგებლობის მოცულობის შეზღუდვა** 9

26. **ტექნიკური/მექანიკური ხარვეზის შედეგები** 9
27. **შეუსაბამობა მონაცემთა შორის** 9
28. **პრეტენზიები** 9
29. **ცვლილებები მომსახურებაში** 10
30. **ცვლილებები წესებსა და პირობებში, მთლიანი შეთანხმება** 10
31. **გამოსაყენებელი სამართალი და დავების გადაწყვეტა** 10
32. **შეუსაბამობა ენობრივ ტექსტებს შორის** 10

1. წესებისა და პირობების მოქმედება

წინამდებარე ვებგვერდზე (მისამართი: www.adjarabet.com, შემდეგში, „**ვებგვერდი**") რეგისტრაციისას და შემდგომში მისით/“აპლიკაციით“ სარგებლობისას (ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით) თქვენ დებთ სამართლებრივად მბოჭავ ხელშეკრულებას „აჭარაბეთთან“ და ეთანხმებით ამ ხელშეკრულების პირობებს, რომლებიც განისაზღვრება წინამდებარე „ზოგადი წესებით და პირობებით“, „სამართლიანი თამაშის შეთანხმებით“, „კონფიდენციალურობის პოლიტიკით“, კონკრეტული აზარტული და მომგებიანი თამაშობებისა და აქციის წესებით, რომლებიც განთავსებულია (ან დამატებით განთავსდება) „ვებგვერდზე“/“აპლიკაციაში“.

ყველა „მოთამაშე“ ვალდებულია „ვებგვერდზე“ რეგისტრაციის გავლისა და ფსონის დადების წინ გაეცნოს „აჭარაბეთის“ წესებსა და პირობებს.

წესებისა და პირობების არ ცოდნა არ წარმოადგენს ფსონის ან ხელშეკრულების მოშლის საფუძველს და „მოთამაშეს“ არ ათავისუფლებს ვალდებულებებისაგან.

„მოთამაშის“ მიერ რეგისტრაციის გავლა ან/და ფსონის დადება ნიშნავს თანხმობას „აჭარაბეთის“ მიერ დადგენილ წესებსა და პირობებზე, ვალდებულებას - წესებისა და პირობების სრულად დაცვაზე და ასევე, „აჭარაბეთის“ უფლებების სრულად აღიარებას.

2. მითითება „აჭარაბეთზე“ და „მოთამაშეზე“

წესებსა და პირობებში მითითება **„აჭარაბეთზე“,** კონტექსტის გათვალისწინებით, გულისხმობს მითითებას შემდეგ კომპანიაზე:

შპს „ეი ბი ჯორჯია“ (ს/ნ 405076304). სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის, სამორინისა და სათამაშო აპარატების ორგანიზატორი, N19-12/006, N19-10/005 და N19-11/005 ნებართვების საფუძველზე.

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ჩუბინაშვილის ქ. N55.

წესებსა და პირობებში მითითება **„მოთამაშეზე“,** კონტექსტის გათვალისწინებით, გულისხმობს მითითებას „ვებგვერდზე“ რეგისტრირებულ მომხმარებელზე.

3. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

„ვებგვერდის“/“აპლიკაციის“ კონტენტი (მათ შორის, და არამხოლოდ, სასაქონლო ნიშანი - Adjarabet, დიზაინი, პროგრამული უზრუნველყოფა, გრაფიკა, სურათები, ანიმაციები, ვიდეო-მასალა, მუსიკა, აუდიო-მასალა, ტექსტები და სხვა) დაცულია ინტელექტუალური საკუთრების სამართლით საერთაშორისო დონეზე. აღნიშნული ცალკეული ინტელექტუალური საკუთრების უფლების ექსკლუზიურ მესაკუთრეებს წარმოადგენენ „აჭარაბეთი“, „აჭარაბეთის“ ბრენდთან დაკავშირებული სხვა კომპანიები ან/და თამაშობის მომწოდებელი კონტრაქტორი კომპანიები (ლიცენზიის გამცემები).

„მოთამაშეს” და სხვა პირებს არ აქვთ ზემოაღნიშნული კონტენტის რაიმე სახით გამოყენების უფლება „აჭარაბეთის“ წერილობითი ნებართვის გარეშე, გარდა უშუალოდ რეალურ დროში „ვებგვერდით“/“აპლიკაციით“ სარგებლობისა (თამაშისა). „მოთამაშეს“ არ აქვს უფლება ჩაიწეროს ან გამოითხოვოს „აჭარაბეთისგან“ თამაშის მიმდინარეობა და გაამჟღავნოს იგი.

მკაცრად აკრძალულია „ვებგვერდისა“/“აპლიკაციისა“ და მისი კონტენტის გამოყენება კომერციული მიზნებისთვის.

4. „ვებგვერდზე“/“აპლიკაციაზე“ წვდომის დასაშვებობა იურისდიქციების მიხედვით, ასაკობრივი შეზღუდვა, დამოკიდებულ/აკრძალულ პირთა სიაში რეგისტრირებული პირი

სხვადასხვა რეგულაციებიდან ან შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე, შესაძლოა „ვებგვერდზე“/“აპლიკაციაზე“ წვდომა ან მისით სარგებლობა შეიზღუდოს „აჭარაბეთის“ მიერ. ამასთან, „მოთამაშე“ პასუხისმგებელია განსაზღვროს, „ვებგვერდზე“/“აპლიკაციაზე“ წვდომა და მისით სარგებლობა წარმოადგენს თუ არა კანონიერ ქმედებას „მოთამაშის“ იურისდიქციის მიხედვით. იგი თავად აგებს პასუხს შესაბამის შედეგებზე.

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „ვებგვერდზე“/“აპლიკაციაზე“ თამაშობებში მონაწილეობა შეზღუდულია:

ა) 25 წლამდე, ასევე, „დამოკიდებულ პირთა სიაში“ ან/და „აკრძალულ პირთა სიაში“ რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეებისთვის;

ბ) 18 წლამდე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევისას (მაგალითად, „მოთამაშის“ მიერ არასწორი ინფორმაციის მითითებისას) „მოთამაშის“ ანგარიში შესაძლოა დაიბლოკოს და ყველა ფსონი/მოგება გაუქმდეს, ინფორმაცია კი გადაეგზავნოს სამართალდამცავ ორგანოებს. „აჭარაბეთი“ სრულად იხსნის პასუხისმგებლობას ასეთ შემთხვევებზე. ამასთან, „მოთამაშე“ სრულადაა პასუხისმგებელი „აჭარაბეთისთვის“ მიყენებულ ზიანზე.

იმ შემთხვევაში, თუ სათამაშო ანგარიში შექმნილია იმ პირის მიერ, რომელსაც „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ეკრძალება აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობა, „აჭარაბეთი“ „მოთამაშეს“ ელფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და ანგარიშზე შესვლისას შესაბამისი შეტყობინების მეშვეობით აცნობებს ანგარიშის დაბლოკვის თაობაზე. ანგარიშის დაბლოკვის შემთხვევაში „მოთამაშეს“ არ მიეცემა ფსონის განთავსების შესაძლებლობა და ანგარიშზე თანხის შეტანის შესაძლებლობა. აღნიშნული პირის მიერ სათამაშო ანგარიშზე განთავსებული თანხები ჩაითვლება მიტოვებულად, თუ დაბლოკილი ანგარიშიდან აღნიშნული თანხების გატანა „მოთამაშის“ მიერ არ მოხდება ანგარიშის დაბლოკვიდან 90 დღის განმავლობაში. თანხის გატანა დაუშვებელია იმ პირის მიერ, რომელიც არ არის ვერიფიცირებული კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. მიტოვებული თანხა „აჭარაბეთის“ მიერ გადაირიცხება სპეციალურად შექმნილ ანგარიშზე, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

დაბლოკილ ანგარიშს შეიძლება დაუბრუნდეს აქტიური სტატუსი, თუ აღმოფხვრილი იქნა გარემოება, რომლის საფუძველზეც „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად პირს ეკრძალებოდა აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობა.

5. თამაში ფულზე

„ვებგვერდის“/“აპლიკაციის“ მეშვეობით „მოთამაშე“ ახორციელებს თამაშს რეალურ ფულზე. „ვებგვერდი“/“აპლიკაცია“ გამიზნულია მხოლოდ „მოთამაშეთა“ გასართობად, იგი განკუთვნილი არ არის პროფესიული ან კომერციული მიზნით გამოყენებისთვის.

6. რეგისტრაცია

თამაშობებში მონაწილეობისთვის „მოთამაშე" რეგისტრირდება „ვებგვერდზე“ და სარეგისტრაციო ფორმაში უთითებს მომხმარებლის სახელს, პაროლს და სხვა მოთხოვნილ პერსონალურ ინფორმაციას.

„მოთამაშე" ვალდებულია სწორად მიუთითოს პერსონალური ინფორმაცია და მომავალში განაახლოს საკონტაქტო და სხვა რელევანტური მონაცემები, რათა ის მუდამ იყოს უტყუარი და სრული. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დახმარებისთვის „მოთამაშეს“ შეუძლია დაუკავშირდეს „აჭარაბეთის“ საინფორმაციო სამსახურს.

რეგისტრაციის შედეგად „აჭარაბეთის“ ელექტრონულ სისტემაში „მოთამაშეს“ ენიჭება მომხმარებლის უნიკალური კოდი.

„აჭარაბეთი“ იტოვებს უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ უარი უთხრას „მოთამაშეს“ „ვებგვერდზე“ რეგისტრაციის გავლაზე ან/და ფსონის დადებაზე (მათ შორის, „აპლიკაციის“ მეშვეობით) და არ განმარტოს უარის მიზეზი.

7. ერთი ანგარიში

„აჭარაბეთის“ ელექტრონულ სისტემაში პირს შესაძლოა ჰქონდეს მხოლოდ ერთი მომხმარებლის ანგარიში. ამდენად, ორი ან მეტი ანგარიშის არსებობა აკრძალულია.

აღნიშნული პირობის დარღვევისას „მოთამაშე“ სრულად აგებს პასუხს, მათ შორის, „სამართლიანი თამაშის შეთანხმების“ პირობების მიხედვით.

8. მომხმარებლის სახელი და პაროლი

„მოთამაშემ“ უნდა დაიცვას საკუთარი მომხმარებლის სახელისა და პაროლის საიდუმლოება, ვინაიდან იგი თავადაა პასუხისმგებელი მისი ანგარიშით განთავსებული ფსონებისთვის და სხვა აქტივობებისთვის.

„მოთამაშეს“ ეკრძალება სხვა პირებისთვის მისი ანგარიშით სარგებლობის უფლების მინიჭება, პაროლის გასხვისება ან/და მესამე პირზე გადაცემა. პაროლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თავად „მოთამაშეა“. პაროლის დაკარგვის (დავიწყების), მისი სხვა პირზე გადაცემის ან მოპარვის შემთხვევაში, მიყენებულ ზიანზე „აჭარაბეთი“ სრულად იხსნის პასუხისმგებლობას.

თუ „მოთამაშეს“ აქვს ეჭვი ანგარიშის აქტივობასთან დაკავშირებით, მაგალითად, უცნობი ტრანზაქციები ტრანზაქციების ისტორიაში ან მოულოდნელი ცვლილება ბალანსში, ან იგი ვარაუდობს, რომ მესამე პირმა იცის მისი პაროლი, „მოთამაშემ“ დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოს პაროლი ან/და დაუკავშირდეს „აჭარაბეთს“.

9. სხვის პირად ანგარიშზე შეცდომით გადარიცხვა

„მოთამაშის“ მიერ ელექტრონული სისტემებიდან (მომენტალური გადახდის აპარატი, ინტერნეტ-გადახდის საშუალებები და სხვა) ბალანსის შევსების მომენტში, მის მიერ თანხის სხვა პირად ნომერზე/ანგარიშზე შეცდომით გადარიცხვის შემთხვევაში, „აჭარაბეთი“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას აღნიშნული თანხის დაბრუნებასთან ან/და გადატანასთან დაკავშირებით. შეცდომით სხვა პირად ნომერზე/ანგარიშზე გადარიცხული თანხის დაბრუნება „მოთამაშისთვის“ შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

10. სესხით თამაშის აკრძალვა

თუ „მოთამაშის“ ბალანსზე არსებული თანხა არ არის საკმარისი ფსონის განსათავსებლად, მის მიერ დადებული ფსონი არ იქნება დაფიქსირებული. „აჭარაბეთი" არ ითვალისწინებს სესხით თამაშს.

11. ბალანსიდან თანხის გატანა და თანხების ხელმისაწვდომობა

ბალანსიდან თანხის გატანისთვის „მოთამაშის“ ანგარიში უნდა იყოს ვერიფიცირებული და აქტიური.

ანგარიშზე არსებული თანხა „მოთამაშისთვის“ ხელმისაწვდომია დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წესების დარღვევის ან სხვა მიზეზით (მაგალითად, ტრანზაქციების ისტორიის ან „მოთამაშის“ აქტივობის მოკვლევის მიზნით; „მოთამაშის“ ანგარიშის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით; უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით და სხვა) შეჩერებულია ანგარიშიდან თანხის გატანის ფუნქცია.

„მოთამაშემ“ უნდა გაითვალისწინოს, რომ საგადახდო მომსახურების პროვაიდერს ტრანზაქციის დამუშავებისთვის შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი დრო.

12. აკრძალული ქმედებები

„მოთამაშის" მხრიდან დაუშვებელია უხამსობა, შეურაცხმყოფელი სიტყვები და მუქარა, მათ შორის ჩატში, თამაშის დროს, „აჭარაბეთის“ თანამშრომლებთან ურთიერთობისას. „მოთამაშეს" ასევე ეკრძალება შეცდომაში შემყვანი, მუქარის ხასიათის და მავნე კომენტარების გაკეთება „აჭარაბეთის“ საქმიანობის ან მისი თანამშრომლების შესახებ, ნებისმიერი სახის პროდუქციის ან მომსახურების რეკლამირება (გარდა „აჭარაბეთის“ მომსახურებისა) ჩატში, თამაშის დროს, მედიის მეშვეობით, სოციალურ ქსელში, ფორუმებსა და სხვა პლატფორმებზე.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში „მოთამაშეს" შეიძლება შეუწყდეს პრივილეგიები, დაებლოკოს წვდომა საინფორმაციო სამსახურში, განუსაზღვრელი ვადით შეუჩერდეს ანგარიში და სხვა.

„აჭარაბეთის“ პოლიტიკა კრძალავს სამართლიანი შეთანხმების საწინააღმდეგო თამაშს, მათ შორის, ნებისმიერ თაღლითურ აქტივობას.

„მოთამაშეს" ასევე მკაცრად ეკრძალება „ვებგვერდზე“/“აპლიკაციის“ გამოყენებისას სხვა „მოთამაშისათვის“ რჩევის მიცემა, სხვა სახის შემოთავაზება, წახალისება ან წაქეზება, „აჭარაბეთის“ შესახებ ტყუილის შემცველი, შეურაცხმყოფელი, რეპუტაციის შემლახავი ფაქტების/მოსაზრებების/ცნობების გავრცელება, „აჭარაბეთის“ ანგარიშის გამოყენება არაკანონიერი ან შეუფერებელი საქმიანობისთვის.

აღნიშნულის აღმოჩენის შემთხვევაში, „აჭარაბეთი“ უფლებამოსილია მიმართოს წესებით, მათ შორის, სამართლიანი შეთანხმებით გათვალისწინებულ ზომებს. „აჭარაბეთი“ დამატებით იტოვებს უფლებას გაუზიაროს აკრძალული ქმედებების შესახებ ინფორმაცია და „მოთამაშის" პირადი მონაცემები თამაშობის სხვა ორგანიზატორებს, თამაშობის პროვაიდერებს, ბანკებს, საკრედიტო ბარათების კომპანიებს და შესაბამის უწყებებს.

„ვებგვერდზე“/“აპლიკაციაში“ გამოქვეყნებული ნებისმიერი წესის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს „მოთამაშის“ ანგარიშის დაბლოკვა. „აჭარაბეთი“ იტოვებს უფლებას დაბლოკილი „მოთამაშე“ არ დაუშვას „აჭარაბეთის“ მიერ ორგანიზებულ ტურნირზე ან უარი უთხრას ნებისმიერ ღონისძიებაში მონაწილეობაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ „მოთამაშეს“ ანგარიშის დაბლოკვამდე ან დაბლოკვის შემდეგ მოგებული ან ნაყიდი აქვს „აჭარაბეთის“ მიერ ორგანიზებული ნებისმიერი ტურნირის ან ღონისძიების ბილეთი/უფლება.

13. ბალანსის არამიზნობრივი ან არაკეთილსინდისიერი გამოყენება

„ვებგვერდზე“/“აპლიკაციაში“ არსებული ბალანსის არამიზნობრივი ან/და არაკეთილსინდისიერი გამოყენების შემთხვევაში (მათ შორის, ბალანსის ელექტრონული სისტემებითა და სხვა საშუალებებით შევსებისას და არსებული თანხის ნაწილის „აჭარაბეთის" სისტემაში ფსონზე დაუდებლობის შემთხვევაში, ასევე, სამართლიანი თამაშის შეთანხმების დარღვევისას) „აჭარაბეთი" იტოვებს უფლებას, „მოთამაშეს“ ანგარიშზე არსებული თანხის გატანის მომენტში, გატანილი თანხიდან საკომისიოს სახით ჩამოაჭრას დამატებით 3%.

14. თაღლითობის საწინააღმდეგო სისტემა

„აჭარაბეთი“ მუშაობს ისეთი პროგრამების აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად, რომელიც შემუშავებულია და გამიზნულია „ვებგვერდზე“/“აპლიკაციაში“ რომელიმე ხელოვნური ინტელექტის ("AI Software") სათამაშოდ, რომელთა შორის არის, მაგალითად: ოპონენტების პროფილირება, მოთამაშეების შეთქმულება, მოტყუების სისტემა და ნებისმიერი სხვა, რომელიც, „აჭარაბეთის“ აზრით, საშუალებას აძლევს „მოთამაშეს" ჰქონდეს დაუმსახურებელი უპირატესობა სხვა „მოთამაშეებთან“ შედარებით. „მოთამაშე" აცხადებს თანხმობას, რომ „აჭარაბეთი“ ყველა ზომას მიიღებს ისეთი პროგრამების და AI პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად, რომელიც მოიცავს, Screen Scraping-ს, ან „მოთამაშის“ კომპიუტერზე მიმდინარე პროგრამების სიის წაკითხვას, ან სხვა ასეთი სახის სიტემასა და მეთოდს. „მოთამაშე" ასევე თანახმაა არ გამოიყენოს რაიმე სახის AI პროგრამული უზრუნველყოფა და/ან მსგვასი ტიპის სხვა პროგრამა.

15. „მოთამაშის“ ანგარიშის უსაფრთხოება

ავტორიზების 3 წარუმატებელი მცდელობის შემდეგ „მოთამაშის“ ანგარიში/IP მისამართი დაიბლოკება.

თუ „მოთამაშის“ ანგარიშზე აქტივობა არ მომხდარა 15 წუთის განმავლობაში, მან თავიდან უნდა შეიყვანოს ავტორიზებისთვის საჭირო მონაცემები.

16. შემოწმება

ელექტრონული სისტემის დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის „აჭარაბეთი“ უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს ჩაატაროს უსაფრთხოების შემოწმება, „მოთამაშის" საიდენტიფიკაციო მონაცემების სისწორის დასადგენად, აქტივობისა და ტრანზაქციების გამოსაკვლევად, ასევე, საკანონმდებლო მოთხოვნების ან „ვებგვერდის“/“აპლიკაციის“ წესებისა და პირობების დარღვევის ფაქტების გამოსავლენად.

აღნიშნული მიზნით, „მოთამაშე" უფლებას ანიჭებს „აჭარაბეთს“, პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით მესამე პირებთან გაამჟღავნოს „მოთამაშესთან“ დაკავშირებული

ინფორმაცია, ასევე, უშუალოდ „მოთამაშეს“ მოსთხოვოს საჭირო ინფორმაცია ან მესამე პირებისგან გამოითხოვოს აღნიშნული ინფორმაცია, მათ შორის (და არა მხოლოდ) ფინანსური ინფორმაცია.

შემოწმების დასრულებამდე „აჭარაბეთი“ უფლებამოსილია შეაჩეროს „მოთამაშის“ ანგარიში.

17. მარკეტინგულ აქტივობებში მონაწილეობა

„მოთამაშე“, რომლის მოგებაც ერთჯერადად შეადგენს 5,000 ლარს ან მეტს, „აჭარაბეთის“ მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ბრენდ „აჭარაბეთის“ საქმიანობისა და შემოთავაზებული პროდუქციის (მომსახურების) სარეკლამო და საინფორმაციო აქტივობებში.

18. ბონუსი

ბონუსი (მათ შორის, ფრიბეთი, ფრისპინი) მომხმარებელს შესაძლებელია დაერიცხოს მარკეტინგული აქციების ფარგლებში, ასევე, „აჭარაბეთის“ პირადი შეხედულებისამებრ.

ბონუსის დარიცხვისა და გამოყენების დამატებით პირობები შესაძლოა ინდივიდუალურად განისაზღვროს მარკეტინგული აქციებით ან სხვაგვარად „აჭარაბეთის“ მიერ.

„აჭარაბეთი“ უფლებამოსილია გააუქმოს მარკეტინგული აქციები, დარიცხული ბონუსები, ასევე, მათი გამოყენების შედეგები (განთავსებული ფსონები, მოგებები) წინასწარი შეტყობინების გარეშე, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, ტექნიკური ან მექანიკური ხარვეზით, ასევე, „მოთამაშის“ არაკეთილსინდისიერი ქმედებით ან წესების დარღვევით. გაუქმების შემთხვევებში, „აჭარაბეთი“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

ბონუსის დარიცხვისთვის აუცილებელია „მოთამაშის“ ანგარიში იყოს ვერიფიცირებული და აქტიური დარიცხვის მომენტში. „აჭარაბეთი“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ ბონუსის დარიცხვის მომენტისთვის ანგარიშის მოქმედება შეჩერებულია სხვადასხვა მიზეზით (მაგ. თვითშეზღუდვა, მოკვლევა, წესების დარღვევა, უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნა და სხვა).

19. უმოქმედო ანგარიშები

კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ანგარიში, რომელზეც არ მომხდარა „მოთამაშის“ მხრიდან არანაირი აქტივობა უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში, მიიჩნევა უმოქმედოდ.

უმოქმედო ანგარიშზე განთავსებული თანხები ჩაითვლება მიტოვებულად ანგარიშის უმოქმედოდ მიჩნევის მომენტიდან.

თანხების მიტოვებულად ჩათვლამდე მინიმუმ 60 დღით ადრე „აჭარაბეთი“ მიიღებს გონივრულ ზომებს „მოთამაშის“ ინფორმირებისთვის.

უმოქმედო ანგარიშები დაიხურება და ასეთ ანგარიშებზე განთავსებული ყველა მიტოვებული თანხა „აჭარაბეთის“ მიერ გადაირიცხება სპეციალურად შექმნილ ანგარიშზე, კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

20. ანგარიშის დახურვა (გაუქმება) „მოთამაშის“ მიერ

„მოთამაშე“ უფლებამოსილია დახუროს (გააუქმოს) თავისი ანგარიში ვებგვერდზე/“აპლიკაციაში“ გამოქვეყნებული პროცედურის დაცვით. ანგარიშის დასახურად (გასაუქმებლად) აუცილებელია ბალანსზე არსებული ნაშთის განულება (განულება არ არის საჭირო, როდესაც ბალანსზე არსებული თანხა 1 (ერთი) ლარზე ნაკლებია). „მოთამაშის“ მოთხოვნის დაფიქსირების შემდეგ ანგარიში დაიხურება (გაუქმდება) არაუმეტეს 12 დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „მოთამაშის“ მიერ განთავსებული ფსონები ინტერნეტ ტოტალიზატორში ვერ დასრულდება (გადაწყდება) აღნიშნული ვადის გასვლამდე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, „მოთამაშეს“ შეუძლია მოითხოვოს ანგარიშის შეჩერება/დაბლოკვა. განთავსებული მიმდინარე სტატუსის მქონე ფსონის გაუქმება კი შესაძლებელია გამონაკლის შემთხვევაში, „აჭარაბეთთან“ შეთანხმების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ფსონის გაუქმება „აჭარაბეთის“ უფლებამოსილებაა და არა ვალდებულება.

„მოთამაშეს“ ანგარიშის დახურვის (გაუქმების) მოთხოვნის დაფიქსირება შეუძლია სალაროში ვიზიტით, მომსახურების ცენტრის მეშვეობით.

სალაროში მისული „მოთამაშე“ წარადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და წერს განაცხადს.

თუ „მოთამაშე“ ანგარიშის დახურვის (გაუქმების) მოთხოვნით კომპანიას მიმართავს საინფორმაციო მომსახურების ცენტრის საშუალებით: აუცილებელია „მოთამაშემ“ მომართვა განახორციელოს „აჭარაბეთის“ ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ნომრიდან ან „ვებგვერდზე“/“iOS აპლიკაციაში“ ავტორიზაციის შემდეგ მოიწეროს ჩატის საშუალებით და წარმატებით გაიაროს იდენტიფიკაციის პროცედურა.

იმ შემთხვევაში, თუ „მოთამაშე“ ვერ გაივლის იდენტიფიკაციის პროცედურას, საინფორმაციო მომსახურების ცენტრის ოპერატორი გაუგზავნის მას ანგარიშის გაუქმების განაცხადის ფორმას.

„მოთამაშე" პასუხისმგებელია თავის ანგარიშზე, ვიდრე „აჭარაბეთი“ არ დაასრულებს ანგარიშის დახურვის (გაუქმების) პროცედურას.

დისტანციურად ანგარიშის დახურვის (გაუქმების) შემთხვევაში, შესაძლოა „მოთამაშეს“ დამატებით ეთხოვოს ვერიფიკაციის გავლა და სალაროში წერილობითი განაცხადის წარდგენა.

„აჭარაბეთი“ უფლებამოსილია უარი უთხრას „მოთამაშეს“ ანგარიშის დახურვაზე (გაუქმებაზე), თუ მისი ანგარიში შეჩერებულია/დაბლოკილია (მაგალითად, კანონმდებლობისა და წესების, მათ შორის, სამართლიანი თამაშის შეთანხმების დარღვევის გამო, მარეგულირებელი/სამართალდამცავი ორგანოების მოთხოვნით და სხვა).

„აჭარაბეთი“ უფლებამოსილია ანგარიშის დახურვის (გაუქმების) შემდეგ უარი უთხრას „მოთამაშეს“ ხელახალ რეგისტრაციაზე, თუ მისი წინა ანგარიში შემჩნეული იყო კანონმდებლობის ან წესების (მათ შორის, სამართლიანი თამაშის შეთანხმების) დარღვევაში.

21. „მოთამაშის“ ინფორმირება ანგარიშის დაბლოკვის/შეჩერების შესახებ

„აჭარაბეთი" აცნობებს „მოთამაშეს" ელ-ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინებისა და ანგარიშზე შესვლისას შესაბამისი შეტყობინების მეშვეობით, ანგარიშის დაბლოკვის/შეჩერებისა და ბლოკის/შეჩერების მოხსნის შესახებ.

22. „მოთამაშის“ განცხადებები და გარანტიები

მომსახურების მიღების მთელი პერიოდის განმავლობაში „მოთამაშე" იძლევა გარანტიას და აცხადებს თანხმობას შემდეგზე:

- თამაშის შედეგად არსებობს „მოთამაშის“ მიერ ფულადი სახსრების წაგების რისკი.

- „მოთამაშე“ თავისი ნებით თანხმდება მომსახურების მიღებაზე.

-„მოთამაშე“ იღებს ერთპიროვნულ ვალდებულებას თვითონ გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებიც შეიძლება დაერიცხოს მისთვის გაცემულ მოგებულ თანხებს.

-მომსახურების მისაღებად „მოთამაშე“ პასუხისმგებელია საკუთარი სატელეკომუნიკაციო საშუალებებისა და ინტერნეტის გამართულ მუშაობაზე.

23. კომპენსაცია „მოთამაშის“ მხრიდან

„მოთამაშე" სრულად აგებს პასუხს „აჭარაბეთისთვის“, მისი თანამშრომლებისთვის, კონტრაქტორი პირებისთვის, შვილობილი კომპანიებისთვის მის მიერ წესებისა და პირობების დარღვევის შედეგად მიყენებულ ზიანზე (მათ შორის, ხარჯებზე).

24. გარანტიების გამორიცხვა

„მოთამაშის" აქტივობა „ვებგვერდზე“/“აპლიკაციაში“, პროგრამული უზრუნველყოფის (მაგალითად, „აპლიკაციის“) ჩამოტვირთვა და თამაშებში მონაწილეობა არის მისი პირადი არჩევანი და რისკი. „აჭარაბეთი“ არ არის პასუხისმგებელი ელექტრონული სისტემის გაუმართაობაზე, ან „მოთამაშის" მცდელობებზე მიიღოს მონაწილეობა თამაშში „აჭარაბეთის“ მიერ გაუთვალისწინებელი მეთოდებით, საშუალებებით ან გზებით.

ელექტრონული სისტემა, თამაშები და პროგრამული უზრუნველყოფა „მოთამაშეს” მიეწოდება ყოველგვარი გარანტიების (მათ შორის (და არამხოლოდ) - გამდიდრების პირობის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის ვარგისიანობის პირობის) გარეშე, რომელიც მოცემულია ან ნაგულისხმევია კანონმდებლობით და შეთანხმებით.

„აჭარაბეთი“ არ იძლევა გარანტიას, რომ „ვებგვერდი“/“აპლიკაცია“, პროგრამული უზრუნველყოფა და თამაშები დააკმაყოფილებენ „მოთამაშის” მოთხოვნებს, და ასევე, რომ მათი ფუნქციონირება იქნება შეუფერხებელი ან შეცდომების გარეშე.

ჩამოთვლილ გარანტიებში არ იგულისხმება „მოთამაშისთვის“ კუთვნილი მოგების გაცემის პირობა, რომელიც „აჭარაბეთის“ უპირობო ვალდებულებაა.

25. პასუხისმგებლობის მოცულობის შეზღუდვა

„აჭარაბეთი“ არ აგებს პასუხს პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობაზე, ვირუსებზე, რომელთა შედეგად შეიძლება დაკარგულ იქნეს მონაცემები ან სხვაგვარად დაზიანდეს „მოთამაშის" კომპიუტერი (ან სხვა მოწყობილობა) ან პროგრამული უზრუნველყოფა. „აჭარაბეთი“ ასევე არ არის ვალდებული უზრუნველყოს დამატებითი ან სარეზერვო ქსელი და/ან სისტემები.

„აჭარაბეთის” მაქსიმალური პასუხისმგებლობა „მოთამაშის" ან ნებისმიერი სხვა მესამე პირის მიმართ, რომელიც გამომდინარეობს ამ შეთანხმებიდან და შეეხება „მოთამაშის" მიერ „ვებგვერდის“/“აპლიკაციის“ გამოყენებას, თამაშების შედეგებს ან პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას, „აჭარაბეთის“ მიერ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში, შემოიფარგლება „მოთამაშის" მიერ დარღვევამდე არსებული უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში „ვებგვერდზე“/“აპლიკაციის“ მეშვეობით წაგებული თანხის ოდენობით.

26. ტექნიკური/მექანიკური ხარვეზის შედეგები

ნებისმიერი ტექნიკური თუ მექანიკური ხარვეზი განიხილება როგორც გაუთვალისწინებელი გარემოება და ამ შემთხვევაში „აჭარაბეთი“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ასეთი გარემოების დაფიქსირებისას, „აჭარაბეთი“ იტოვებს უფლებას ფსონი, დარიცხული ბონუსები, ასევე მათი გამოყენების შედეგები (განთავსებული ფსონები, მოგებები) გაუქმებულად ჩათვალოს, წინასწარი შეტყობინების გარეშე. გაუქმების შემთხვევებში, „აჭარაბეთი“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

იმ შემთხვევაში თუ „მოთამაშეს“ ხარვეზის/შეცდომის შედეგად, დაერიცხა ზედმეტი თანხა ან ბონუსი, „აჭარაბეთი“ იტოვებს უფლებას, ჩამოაჭრას „მოთამაშეს“ შეცდომით უსაფუძვლოდ დარიცხული თანხა/ბონუსი.

27. შეუსაბამობა მონაცემთა შორის

„მოთამაშე" აცხადებს თანხმობას, რომ შემთხვევითი რიცხვების გენერატორის ("RNG") პროგრამული უზრუნველყოფა განსაზღვრავს ბანქოს არჩევასა და დარიგებას, ასევე სხვა სახის შემთხვევითობას. თუ არსებობს სხვაობა „მოთამაშის" პროგრამული უზრუნველყოფის მიერ ნაჩვენებ შედეგსა და „აჭარაბეთის“ სერვერზე არსებულ მონაცემებს შორის, უპირატესობა ენიჭება „აჭარაბეთის“ მონაცემებს.

ნებისმიერი ფსონის შესახებ ინფორმაცია ინახება „აჭარაბეთის" მონაცემთა ბაზაში და სადაო საკითხის განხილვის შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონულ არქივში შენახულ და დაცულ ჩანაწერს.

„მოთამაშე" აღიარებს და ეთანხმება, რომ „აჭარაბეთის“ ჩანაწერები წარმოადგენს ერთადერთ და უპირატეს საფუძველს თამაშთან დაკავშირებით წარმოშობილი სადაო საკითხების გადასაწყვეტად.

28. პრეტენზიები

თუ „მოთამაშე" არ ეთანხმება თამაშის შედეგებს, ან „აჭარაბეთის“ სხვა გადაწყვეტილებას, „აჭარაბეთს“ უნდა მიმართოს თამაშის დასრულებიდან ან სადაო გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში (თუ სხვაგან წესებში უფრო მოკლე ვადა არ არის მითითებული). აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება. „აჭარაბეთი“ განიხილავს და გადაწყვეტილებას მიიღებს პრეტენზიის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

29. ცვლილებები მომსახურებაში

„აჭარაბეთი“ უფლებამოსილია შეაჩეროს, შეცვალოს, წაშალოს და/ან დაამატოს ნებისმიერი მომსახურება (მათ შორის, თამაში, მინიმალური ფსონის ოდენობა და სხვა) თავისი შეხედულებისამებრ, დაუყოვნებლივ და შეტყობინების გარეშე.

„აჭარაბეთი" არ იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება გაწეული იქნება უწყვეტად (და უშეცდომოდ).

„აჭარაბეთი“ პასუხს არ აგებს მომსახურებაში მსგავს ცვლილებებზე.

30. ცვლილებები წესებსა და პირობებში, მთლიანი შეთანხმება

„აჭარაბეთი“ უფლებამოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები წესებსა და პირობებში, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის, საქმიანობაში ან საქმიანობის მომწესრიგებელ რეგულაციებში განხორციელებული ცვლილებებით. ამდენად, გთხოვთ, წესებსა და პირობებს გაეცნოთ ხშირად.

წესებისა და პირობების განახლებული რედაქცია ყოველ ჯერზე აიტვირთება „ვებგვერდზე“/“აპლიკაციაში“, რის შემდეგაც ცვლილებები იძენს ძალას.

თუ „მოთამაშე" რომელიმე ცვლილებას დაუშვებლად მიიჩნევს, შეუძლია შეწყვიტოს შეთანხმება წესებისა და პირობებით დადგენილი წესით. ცვლილების „ვებგვერდზე“/“აპლიკაციაში“ ატვირთვის შემდეგ „მოთამაშის" მიერ ანგარიშით სარგებლობის გაგრძელება ითვლება შეტანილი ცვლილების მიღებად.

წესები და პირობები წარმოადგენს სრულ და საბოლოო შეთანხმებას „მოთამაშესა“ და „აჭარაბეთს“ შორის და ამით აუქმებს ნებისმიერ სხვა და ადრინდელ შეთანხმებას ამ მხარეებს შორის.

31. გამოსაყენებელი სამართალი და დავების გადაწყვეტა

წესები და პირობები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შორის „ვებგვერდთან“/“აპლიკაციასთან“ წარმოშობილი ან მასთან დაკავშირებული დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს ექსკლუზიურად.

32. შეუსაბამობა ენობრივ ტექსტებს შორის

წესებისა და პირობების ქართულ და სხვა ენებზე თარგმნილ ტექსტებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს.

განახლების თარიღი: 11.02.2025